საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/110 „ 31 „ ივლისი 2020 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

„ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს პალატებისა და საგამოძიებო კოლეგიის შემადგენლობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 22 მაისის №1/42 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 22 მაისის №1/42 განკარგულებით განისაზღვრა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს პალატებისა და საგამოძიებო კოლეგიის შემადგენლობა. აღნიშნულ გადაწყვეტილებაში დაშვებულ იქნა შეცდომა მოსამართლეებთან ნანა კალანდაძესა და ირმა პერანიძესთან მიმართებით, კერძოდ №1/42 განკარგულებაში ნანა კალანდაძე მითითებულია როგორც სამოქალაქო საქმეთა განმხილველი მოსამართლე, მაშინ როდესაც „ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსამართლე ნ. კალანდაძის ადმინისტრაციულ საქეთა პალატის მოსამართლედ გამწესების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2019 წლის 22 აპრილის №1/37 გადაწყვეტილებით ნანა კალანდაძე გამწესებულ იქნა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში, ხოლო ირმა პერანიძე №1/42 განკარგულებაში მითითებულია როგორც ადმინისტრაციულ საქმეთა განმხილველი მოსამართლე, მაშინ როდესაც „ი. პერანიძის ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსამართლის თანამდებობაზე უვადოდ გამწესების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 22 თებერვლის №1/106 გადაწყვეტილებით ირმა პერანიძე გამწესდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში. აღნიშნულიდან გამომდინარე, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 23-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად,

1. „ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს პალატებისა და საგამოძიებო კოლეგიის შემადგენლობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 22 მაისის №1/42 განკარგულების პირველ პუნქტში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

ა) „ა“ ქვეპუნქტის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ნანა კალანდაძე“

ბ) „ბ“ ქვეპუნქტის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ირმა პერანიძე“.

2. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე და გავრცელდეს 2020 წლის 22 მაისიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.

გიორგი მიქაუტაძე